№ 22.

# ივერია

წელიწადი პირველი

28 ივლისი 1877 წ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოდის ხუთშაბათობით

ხელის მოწერა: ტფილისს, „ივერიის“ რედაქციაში, მთაწმინდის ქუჩაზე, შიოევის სახლების ზემოდ. № 5 ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

„ივერიის“ ფასი 1877 წელს.

ათის თვისა, გაგზავნით და გაუგზავნელად . . . 6 მან. —

ერთი ნომერი . . . . . . . . . . . . . . — 15 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდათ გამოგზავნილ წერილებს.

განცხადება მიიღება ქართულს და რუსულს ენაზე.

მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ „ივერია“ პირველის ივლისიდამ პირველს მომავალს იანვრამდე. ფასი ამ ექვსის თვისა ოთხი მანეთია.

---

**საძიებელი:** I. ომის ამბები.—II საქართველოს მატიანე.—III. საპოლიტიკო მიმოხილვა.—IV ბრძოლა რომის დასაპყრობლად (შემდეგი).—V. განცხადება.

## ომის ამბები.

— დუნაიას იქითა ნაპირს გადასული ჯარი რუსის სამ პირად გაიყო და სამ გზას დაადგა. მემარცხენე რუშჩუკზედ მიდის, შუაგული ბალკანიის მთას გადავიდა, მემარჯვენე მიდის სოფიის გზაზედ, რომელიც პლევნაზე გადის. რვას მკათათვეს ამ მემარჯვენე ჯარის ნაწილი პლევნაზედ იერიშით მივიდა, მაგრამ ოსმალოს ჯარს ვერ აუვიდა და უკან დაიწია. ამ საქმეში რუსებმა მკვდრითა და დაჭრილებითა დაჰკარგეს 53 აფიცერი, ამათში ერთი ღენერალი და ორი პოლკოვნიკი და 1878 ჯარის კაცი. ამის მისაშველებლად რუსებმა ნიკოპოლიდამ მიაშველეს ერთი კორპუსი ჯარი. 18 მკათათვეს რუსის ჯარმა ხელახლად იერიში მიიტანეს პლევნაზედ, მაგრამ ოსმალებმა ისევ უკუ დააწევინეს. რუსებს დიდი ზარალი მოსვლიათ ამ საქმეში, ხუთი ათასი კაცი მკვდარი და დაჭრილია თურმე.

— ღენერალ გურკოს 18 მკათათვეს დაუმარცხებია სულეიმან-ფაშის ჯარი, რომელსაც ენი-ზაგრი ეჭირა, წაურთმევია ორი ზარბაზანი; 19 მკათათვეს იმავე ღენერალს გურკოს დაუმარცხებია მეორე გუნდი ოსმალოს ჯარისა ესკი-ზაგრას სიახლოვეს და მას შემდეგ ბალკანისაკენ დაუწევნია. შუმლისაკენ ჯერ მშვიდობიანობაა.

— არტაანი 24 მკათათვეს. პოლკოვნიკი კამაროვი 24 მკათათვეს შეხვედრია ოსმალოს გუნდს ორი ათასს კაცს, რომელთაც მაგარი ადგილები ჰსჭერია სეიზარსა და დიშტირში, დაუმარცხებია ოსმალონი და მათი ადგილები თვით დაუჭერია. იმავე დროს თავადი ბარიატინსკი ორი ბატალიონით მოულოდნელად გამოჩენილა და მის მნახველთა ოსმ. ლოთა დაუყრავთ ფესი და გაქცეულან. ჩვენგანი ორი ჯარის-კაცია მკვდარი და ოთხი დაჭრილი. მტერს ნაომარს ადგილას დარჩენია 30 მკვდარი. ჩვენი ჯარი ისევ თავის ბინაზედ დიღორს მისულა.

— ახალქალაქი 25 მკათათვეს. 18 მკათათვეს ერთს ბრიგადას რუსის ქვეითა ჯარს და არტილლერიას დაუჭერია სოფ. ანი.

ღენერალ ლორის-მელიქოვს ამბავი მოსვლია, რომ ზემო-ეფრატის მინდორზედ მდგარს ოსმალოს ჯარს ჯარი მოჰმატებია და ტერგუქასოვზედ დაცემას აპირობენო და ქარვანსარაის მთაზედ გამოჩენილან გიდეცაო. ამისგამო ღენერალ ლორის-მელიქოვს სოფ. ანიდამ ტერ-ღუქასოვისათვის ჯარი მიუშველებია, შვიდი ბატალიონი ქვეითა ჯარი, ორი პოლკი ცხენოსანი და 12 ზარბაზანი და ყულფისაკენ გაუგზავნია. აქ ყულფთან ომი უნდა მოხდეს, თუ არა და თვით ღენერალი ტერღუქასოვი იმათს ბანაკზედ იერიშით მივა.

ოსმალებს ბათუმიდამ და სხვა შავის ზღვის პირა ადგილებიდამ ჯარი გადაჰყავს თურმე ბოლგარიის მხედრობის შესავსებლად.

— გენერალს ალხაზოვს პატარა შეტაკება მოსვლია მტერთან, რომელშიაც პრაპორშჩიკი დადიანი და ორი ჯარის კაცი დაჭრილა.

— 15 მკათათვეს გენერალს ალხაზოვის ჯარს აბხაზეთში ოსმალო დასცემია, მაგრამ ოსმალები უკანვე გაუბრუნებიათ. ჩვენგანი შვიდი მოკლულია და 21 დაჭრილი.

— გენერალს ალხაზოვს მტერი სრულებით მდ. კოდორის იქით გადურეკია, ასე რომ ოსმალოს ახალი მოსული ჯარი სრულიად განშორებულნი არიან აბხაზელებზედ. ჩვენის მხრით ერთი მოკლულია და 14 დაჭრილი.

ოსმალები ოჩემჩირიდამ სრულებით გასულან, ასე რომ მთელი კოდორის მაზრა ჩვენ ხელშია.

—

ხელმწიფე იმპერატორს ბრძანება გამოუცია, რომ 185,467 მოემარი უნდა მოიკრიფოს სახელმწიფო რაზმისა პირველის განყოფილებისა 185,467 (Сотниковъ государственнаго ополченія)

— არზრუმიდამ 6 სა (18) ივლისს ჰსწერენ საფრანგეთის გაზეთს „Republique Francaise“: ის ჯარი ოსმალოს მხედრობისა, რომელიც მოქმედებდა ყარსის ახლო—მახლო, შეუერთდა მემარჯვენე ჯარს, რომელიც იდგა ბაიაზეთის ახლო. გენერალი ტერ-ღუკასოვი ზედ სამზღვარზედ დგას და ელის მოსაშველებლად ჯარს. მუხთარ-ფაშა რეზინკინგშია. რუსებს, რომელთაც წინ უძღოდა გენერალი ლორის-მელიქოვი, გენიკოის და კურუკდარის იქით უკან აღარ დაუწევიათ. რუსები დიდ ჯარს მოელიან გუმბრიდამ. 2-ს (14) ივლისს თორმეტი პოლკი ცხენოსანი რუსის ჯარი თარეშად გამოვიდა მუხთარ-ფაშის ბანაკისაკენ. ორივე მხრით ორიოდე ზარბაზანი დაიცალა და მას შემდეგ რუსის ჯარი ისევ უკან დაბრუნდა. ყველანი ელიან, რომ ამ ახლო ხანში მეომარნი ერთმანეთს შეეტაკებიანო. ბაიაზეთის მცხოვრებლებმა სრულიად თავი დაანებეს. ვაკეზედ რაც სოფლები იყო სულ აოხრებულია, მცხოვრებნი გაიხიზნენ ზოგი სპარსეთს, ზოგი რუსეთის ყარაკლისის და ალაშკერტის სოფლებსა და ვაკეებში ძალიან ცოტა მცხოვრები და დარჩა.

— 10 ივლისს კავკასიის მხედრობის შტაბის უფროსის ტელეგრამმაში მოხსენებულია, რომ ბათომიდამ ოსმალოს ხომალდები მოდიან და გადმოჰყავთ ჯარი ოჩემჩირში და აქედამ აფხაზების ჯალაბობა მიჰყავთ თან; მუხთარ-ფაშა ორმოცის ბატალიონით დაბანაკდა ერთს გამაგრებულს ადგილს ალადაღის მთის ჩრდილო ფერდობზედა, ვიზინკენის და კერხატის შუა.

— საკუთარი კორრესპონდენტი „N. Fr. Presse“-ისა ოსმალოს ჯარის ბანაკიდამ, რომელიც ყარსიდამ სამის საათის სავალზეა, იწერება 5-ს ივლისს: მუხთარ-ფაშის მხედრობას დიდი ჯარი მოეშველა და აგბუნართან დგას. ამ მხედრობას ყარსისაკენ გზა გახსნილი აქვს და მისვლა-მოსვლა დაუბრკოლებელი. ყარსშია 24 ბატალიონი 18 ზარბაზნით. თუ საჭიროება მოითხოვს ეს ყარსის ჯარიც შეუერთდება მუხთარ-ფაშის ჯარს და ერთად წავლენ წინააღმდეგ რუსთა, რომელნიც ფარლეტსა და კურუკდარაში დგანან.

— რუსულ გაზეთს „С.-Петерб. Вѣдомости“ შემდეგი ტელეგრამმა მოსვლია კურუკდარიდამ: მუხთარ-ფაშის ჯარი ორად არის გაყოფილი, სანგლები აქვთ ორივეს გარშემორტყმული და ისე დგანან: ერთი ნაწილი სოფ. გიუმუშჯთან და მეორე ჩვენის ჯარის პირდაპირ ყლადოკის მთაზედ. ასე ცოტა მანძილია ჩვენ შორის, რომ აშკარად ჰჩანს ჩვენიდამ იმათი თეთრი კარვები.

— საკუთარი კორრესპონდენტი ფრანციულის გაზეთისა „Temps“ იწერება მელიდიუზის ბანაკიდამ: „20 ივნისს შუადღის დროს ლორისმელიქოვის ჯარმა გაილაშქრა და ყარსთან გენერალი დევლი დაავდა. ყველამ იცოდა, რომ ამ გალაშქრების საგანი მუხთარ-ფაშასთან შეკვეთა იყო სოღანლუღის მთებში, საცა ის ერზრუმის გზას იმაგრებდა და რუსის ჯარსაც, მაცრაში ბანაკად მდგომარეს, ემუქრებოდა. პასკევიჩმა 1829 წ. ჯერ ყარსი აიღო და მერე წავიდა სოღანლუღზედ რომ არზრუმი დაეჭირა. 1855 წ. მურავიევმა ვიდრე იერიშს მიიტანდა ყარსზედ, ჯერ სოღანლუღის მთებამდე მოიარა და როცა იქ მტერი ვერ იპოვა უკან მობრუნდა.

„აწინდელის ომის ისტორიკოსნი როცა იქნება გამოიკვლევენ იყო აქ რამე შეცდომა თუ არა. როცა ომი დაიწყეს ეგონათ, რომ რუსები პირდაპირ არზრუმს წავლენ და ყარსთან კი ჯარს დაჰსტოვებენ თვალ-ყურის სადევნელად. გავიდა დრო და აზრი გამოიცვალა; ბევრს ლაპარაკობდნენ ყარსის აღებას შეუდგებიანო; დიდის მთავრის მობძანებას ჰსთვლიდნენ იმის ნიშნად, რომ ამ მოკლე ხანში იერიშს მიიტანენო.

„ნამდვილად კი საომარის პლანის შესახებ ორ ნაირი აზრი იყო. ზოგს უნდოდათ რომ ჯერ ყარსი აეღოთ, ზოგი კი ამბობდა ჯერ უნდა მუხტარი მოვიშოროთ თავიდამაო. ღენერალი ლორის-მელიქოვი ამ უკანასკნელის აზრისა იყო.

„ლორის-მელიქოვის აზრი ყველამ მიიღო მას აქედ, რაც ცუდი ამბები მოვიდა ღენერალ ტერ-გუქასოვზედ, რომელიც მუხტარ-ფაშას მოუმწყვდია. ამ სახით სოღანლუღზედ წასვლა ყველამ საჭიროდ იცნა. ხოლო მეტად გამიკვირდა, როცა ჩემის მოსვლის შემდეგ მეორეს დღეს რუსის ბანაკში შევიტყე, რომ ჩვენ 17,000 კაცი მიგვყავს იმ მხედრობის მოპირდაპირედ, რომელიც უკეთესად ვიცოდით—რიცხვით უმრავლესი იყო და მაღალ მაგარს ადგილებზედ იდგა. მართალია პასკევიჩმა 16,000 კაცით ოსმალნი დაამარცხა და არზრუმიც აიღო, მაგრამ 1829 წელში ოსმალეთი სულ სხვა იყო და ეხლა სულ სხვა არის.

„არტაანის ადვილად აღებამ მეტად წააქეზა (მართლადაც წააქეზებელიც იყო) რუსის მხედრობის წინა-მძღვანნი; შიში აღარაფრისა ჰქონდათ; ეგონათ რომ ოსმალები მეტის-მეტად სუსტნი არიან. ჩვენი გადაშქრება, რასაკვირველია, უსარგებლო არ იქმნება, თუ ღენერალს ტერ-გუქასოვს გაჭირებიდამ დავიხსნით მით რომ მუხთარ-ფაშა იძულებული გახდება ჩვენ დაგვხვდეს წინ და თავისი ჯარი ტერ-გუქასოვს მოაშოროს. მაგრამ ესეც უნდა ვჰსთქვათ, რომ ჩვენც თვითონ განსაცდელში ვართ: ამ წუთს, როცა მე ამასა ვჰწერ შესაძლოა რომ მუხთარ-ფაშის მთელს მხედრობასთან საქმე მოგვიხდეს.—

„არავერტანის ახლო რომ 15 ივნისს ომი მოხდა, ამ ომმა, რომელზედაც მე დაწვრილებით მიამბეს, უფრო დიდი იმედი მიჰსცა ყველას ოსმალების სისუსტის შესახებ. ათი ბატალიონი ოსმალოსი ყარსიდამ გამოვიდა, ამათგან ორი ბატალიონი წინ გამოიშალა არტილერიის იმედითა, რვა ბატალიონი კი ფორტების მფარველობის ქვეშ ზურგად დადგნენ. ორმა რუსის ბატალიონმა „გრუზინსკის პოლკისამ“ ოსმალოს წინ წამოსულს ორ ბატალიონს სანგლები დააცლევინა და უკან დააწევინა ზურგად მდგარის ჯარისაკენ. მაშინ სევერის დრაგუნის პოლკს უბძანეს, რომ გზა გადუჭრას. ამ ცხენოსან ჯარს ერთსა და იმავე დროს წამოაყარეს ტყვია რვა ბატალიონმა ჯარმა და ფორტებმა. მაგრამ საქმე მაინც კიდევ ძალიან კარგად დამთავრდა. რუსები ანგარიშობდნენ, რომ ოსმალოებს ორასის კაცის ზარალი მიეცათო, მაგრამ ყარსიდამ მოწერილის წიგნებიდამ, რომელნიც კოტანლში ჩვენ ხელში ჩაგვივარდა, გამოჩნდა, რომ სამასი კაცი დაჰზარალებია, რუსის მხრით კი ოთხმოცდა ათამდე მკვდარი და დაჭრილია.

„ერთს რუსის ღენერალსა ვკითხე: განა ამ საქმეში რაოდენიმე წინ დაუხედაობა არ იყო, კაცმა რომ მეომარის თვალით გასინჯოს? „უეჭველად იყო, მიპასუხა მან იმ სახედ თითქო ჩემ აზრს ვერ მისვდა: ოსმალებს დიდი, შეუნდობელი შეცდომა მოუვიდათ.“ ღენერალი მართალი იყო, ოსმალებმა ცოტად ჭკუა ასწავლეს, მეორედ აღარ იქმონენ. სევერის დრაგუნები თავის დღეში მაგას ვერ იქმოდენ, რაც ჰქმნეს, რომ ეგ საქმე ევროპიის ჯართანა ჰქონოდა.

„კავკასიის ღენერლები ზოგიერთში ჩვენს ალჟირის ღენერლებსა ჰგვანან. ამათ თავიანთი საკუთარი საომარი წესები აქვთ. ამათ სასაცილოდ მიაჩნიათ ის წესები, რომელნიც წიგნებიდამ არის ამოკითხული, ზოგჯერ დაჰსცინიან „ღენერალის შტაბის“ აფიცრებსაცა, რომელთაც პეტერბურგიდამ უგზავნიან ხოლმე სამხედრო აკადემიაში კი არა, აქ, აზიაში უნდა ისწავლონ აზიურივე ომიანობა. ვაჟკაცობა, ვაჟკაცობა და ვაჟკაცობა—აი ამათი რწმუნება რა არის. აქაო და არტაანის აღებაში და არავერტანის ომში ოსმალებმა ვერაფერად იჩინეს თავიო, ამით არ უნდა ეფიქრნა არავის რომ ხვალაც ოსმალები ასე იქმნებოდნენ. არტაანის მეციხოვნენი, მგონია, სულ უვარგისის ჯარისანი იყვნენ, ყარსის მეციხოვნეთა შორის ბევრი მილიციონერია. იმ მკვდრებ-შორის, რომელნიც ოსმალებმა 15 ივნისს დაჰხვდა, ორი ქალი ყოფილა, კაცურად ჩაცმული და შეიარაღებული. ეს ამბავი თვით მნახავისაგან გავიგე, მერე იმისთანა კაცისაგან, რომელიც სარწმუნოა.“

— 10-ს (22-ს) ივლისს, ვგირა სოღამოს მუხტარ-ფაშას უცნობებია სტამბოლს, რომ ხუთშაბათსა რუსის ჯარი ტერკდიჩის ბანაკიდამ მისცვია ოსმალოს მემარჯვენე ჯარსა, კარაკულში მდგარს, მაგრამ მედგარის ბრძოლის შემდეგ რუსის ჯარს უკან დაუწევია და ოსმალონი თან მისდევნებიან ბანაკამდეო. რუსებს დაჰზარალებიათო ორას ორმოცდა ათი კაცი, ოსმალებში ოცდა ხუთმეტი კაცი მომკვდარა და ორმოცდა თვრამეტი დაჭრილაო.

— გაზეთში „Politische Correspondenz“ დაბეჭდილის ტელეგრამმა სტამბოლიდამ 10-ს ივლის გამოგზავნილი, რომელშიაც სწერია, რომ აბდულ-ქერიმის გადაყენება მარტსად საომარის საქმის წაყვანის გამო კი არ მოხდაო, არამედ იმის გამო მოხდაო, რომ ხონთქარს აცნობესო ოსმალოს მხედრობა განწირულებულს მდგომარეობაში არისო, ავათ-მყოფობისა და გაქცევისაგამო მხედრობა უწინდელზედ ერთი ათად შემცირდაო.

— საკუთარი კორრესპონდენტი ინგლისის გაზეთისა „Deily News“ 6-ს (18) ივლისს პავლოდამ იწერება: „ჩუმშინ იმპერატორის უმთავრესს სადგურს მოიყვანეს ჯასან ფაშა, გულადი მცველი ნიკოპოლისა. ამის ვაჟკაცობას თვით რუსნი დიდის ქებით იხსენიებენ. ომში თამამს ჯასან-ფაშას ტყვეობაშიაც თამამად უჭირავსო თავი: სწორედ როგორც ნამდვილი ოსმალო ისე გულდინჯად წარსდგა რუსის ხელმწიფის წინაშე. როცა ჰკითხეს რისთვის დაგვითმე ქალაქიო და ტყვედ მოგვეცენითო, მან უპასუხა, რომ ტყვია წამალი შემოგვაკლდაო სრულიად და ამასთანაც მე ჩემის ხელით მოვაკვდინე სამი ჯარის-კაცი, რადგანაც თვის მოვალეობას არ ასრულებდნენო. ამის სიტყვით, ეხლანდელი ომიანობა ოსმალოს მხრით უჭკუობაო, ინგლისმა გვაცდინაო და ხალხი დიდად მოხარული იქნებაო, რომ ეს ომი გათავდესო.

— სტამბოლიდამ სწერენ ერთს ნემეცურს გაზეთს, რომ რუსის ჯარი დიდის სიჩქარით მიდის ადრიანოპოლზედაო.

— ვენიდამ 12-ს (24) ივლისს სწერენ St-Peterb. Zeit“ პორტამ (ოსმალოს მთავრობამ) გადასწყვიტაო, რომ თუ რუსებმა ადრიანოპოლი აიღეს მაჰმადის დროშას გამოვიტანთო და გავშლითო. უმთავრესნი სახელმწიფონი ევროპისა ამისი წინააღმდეგნი იქნებიან, რადგანაც მაჰმადის დროშის გაშლა ქრისტიანთა გაჟლეტას მოასწავებსო. თუ პორტა მაინც თავისას არ დაიშლის და ამ წინააღმდეგობას ყურს არ ათხოვებს, მაშინ ყველა სახელმწიფონი ერთად ჩაერევიან საქმეში ქრისტიანთა დასახსნელად.“

— ჯიუზეპპე გარიბალდიმ ერთს თავის მეგობარს წიგნი მისწერა, რომელშიაც სხვათა შორის ეს სწერია: „საყვარელო ვილლიანი! ჩვენს საერთო მეგობარს ბ... უთხარით, რომ თუ ოსმალები ბოსფორის იქით არ იქნებიან გადარეკილნი, მაშინ საქმე ისევ ხელახლად დასაწყობი გახდება. მე მგონია, უმჯობესი იქნება ისე გადაწყდეს საქმე, რომ ოსმალები ბაღდადს მიაბძანონ და რუსებმა კი სკუტარი (ბოსფორისა) დაიპყრან. მას შემდეგ სასურველია, რომ ევროპიის ოსმალეთის ნაწილთაგან შეჰსდგეს ერთი მთელი საპოლიტიკო კავშირი, დედა-ქალაქად სტამბოლი ჰქონდეთ და ყველა გვარ-ტომის ხალხს ნება მიეცეთ ხომალდების თავისუფლად ტარებისა დარდანელსა და ბოსფორში. თქვენი ერთგული ჯიუზეპპე გარიბალდი.“

— გაზეთის „Pall—Mall“ შეუტყვია, რომ ოსმალოს მხედრობაში კაი დიდი თანამდებობანი უჭირავთ ფრანციელთა. ამისთანანი ოთხნი არიანო: არტილერიისა დე-შატონევ, აწ რუშად-ბეი, ამისი შვილი სტამბოლის პარლამენტის წევრია; სენტანდრე, აწ მურად-ბეი, პოლკის უფროსია ჩერნოგორიის წინააღმდეგ გაგზავნილისა; ჟუბერი, აწ ენიმ-ფაშა შვილი-შვილი გამოჩენილის საფრანგეთის ღენერლის ჟუბერისა, რომელიც მოკვდა ომში სუვოროვის დროს და ღენერალი მერსიე აწ სოლიმან ფაშა, რომელმაც ერთს დროს ბევრი უშველა ოსმალოს მთავრობასა მხედრობის ახალს წესზედ დაყენებაში.

— აბდულ ქერიმის გადაყენება მართლდებაა. იმის მაგიერად მთავარ-სარდლად ოსმალებს დაუნიშნავთ მაჰმად ალი-ფაშა, გვარ-ტომობით პრუსიელი გვარად დეტრუა. ეს მაჰმად ალი ფაშა 1845 წლიდამ ოსმალოს სამსახურშია.

— ვენის გაზეთს „Presse“-ს მოსვლია 8-ს (20) ივლისს ზიმნიციდამ შემდეგი ტელეგრამმა: იმ ხმების გამო რომ რუსის ჯარს ულმობელად ქცევას სწამობენ, მთავარ-სარდალმა სამხრეთის მხედრობისამ დიდმა მთავარმა ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძემ მოიწვია უცხოეთის სამხედრო დესპანები ყველანი, ვინც კი მასთან არიან, და შეუკვეთა თვით წავიდნენ იმ ადგილებში, საცა ვითომ რუსის ჯარს ავ-კაცობა მოუხდენია და საკუთარის თვალით დარწმუნდნენ, რომ ყოველივე, რასაც რუსის ჯარს უგონებენ, ტყუილია და ჭორი.

— დიდის მთავრის ნიკოლოოზის ძეს ტელეგრამში მოხსენებულია, რომ 6-ს ივლისსა ოსმალებმა თეთრი ბაირაღი გამოფინესო (შერიგების ნიშნად)და ლაპარაკიც დაგვიწყესო. მაგრამ, როცა ჩვენი კაცი და ჯარი მიუახლოვდათო, უცრად თოფი წამოუყარესო.

— ამბობენ, რომ ლეიარდს, ინგლისის ელჩს სტამბოლში, თავისის მთავრობისათვის უცნობებია, რომ ქრისტიანები როგორც სტამბოლში, აგრეთვე სოფლებშიაც, დიდს განსაცდელში არიანო; იგინი ყოველ წუთს უნდა მოელოდნენო დედა-ბუდიანად ამოხოცვასაო და ჰსთხოვს თავის მთავრობას რაიმე მედგარი ღონისძიება იხმაროთო ქრისტიანთა გადასარჩენადაო, თორემ თვითონ ოსმალოს მთავრობას არავითარი შეძლება არა აქვს რომ ქრისტიანები ამ განსაცდელისაგან დაიფაროსო.

— ოსმალოთა მომხრე გაზეთებიო, ამბობს რუსული გაზეთი „Новое Время“ და თვით ოსმალოს მთავრობაცაო წამ და უწუმ ცილსა ჰსწამებენ რუსის მხედრობასაო, რომ მხეცურად და შეუბრალებლად ეპყრობიან ოსმალებსაო. პარიჟის კორრესპონდენტი ინგლისის გაზეთის „Timse“ — ისა იწერება: „გრაფი შუვალოვი (რუსის ელჩია ინგლისში) ძალიან ჰსწუხსო, რომ ამ ჭორებმა ცუდი ზედ-მოქმედება იქონიესო, და ამის გამო კნიაზს გორჩაკოვსა ჰსთხოვაო, რომ ევროპიის კორრესპონდენტებს მიეცით ღონის მიება დაიარონ ის ადგილები, საცა მითომ ეგ ჭორად დავარდნილი ავ-კაცობა მომხდარაო და რასაც ისინი გამოიძიებენ და გამოიკვლევენ, იმისი ოქმი მათგან ხელმოწერილი მე გამომიგზავნეთო, რომ საქვეყნოდ გამოვაცხადოვო.“

ჩვენ ამას წინად ვაცნობეთ (ივერიის № 21), რომ ოცმა კორრესპონდენტმა ევროპიის გაზეთებისამ დაამტკიცეს სიცრუე მისი, რასაც რუსის მხედრობას ჰსწამობენ. მაინც კიდევ ამ მოკლე ხანში ოსმალოს გარეშე საქმეთა ახალმა მინისტრმა გაუგზავნა სამზღვარ-გარეთ ოსმალოს ელჩებს ხელ ახლად ოქმი, ოცდა ერთის გაზეთის კორრესპონდენტისაგან ხელ-მოწერილი. ამ ოქმში მოხსენებულია სხვათა შორის: „ჩვენ ქვემორე ხელის მომწერთა ჩვენის თვალით ვნახეთ და გამოვკითხეთ შუმლაში და რაზგრადში ბაშვებს, დედა-კაცებს და მოხუცებულებს, რომელნიც დაკოდილნი იყვნენ ხმლითა და შუბითა, ტყვიით დაჭრილთ კი აღარ ვიხსენიებთ, რადგანაც ეგ შეიძლებოდა შემთხვევითაც მომხდარიყო ბრძოლის დროს. ამათ გვიამბეს საშინელი ამბები მასზედ თუ რა რიგ შეუბრალებლად ეკიდებოდნენ მაჭმადიანებსა რუსის მხედრობა და ზოგჯერ ბოლგარიელნიცა. ამათის ტყვით, ზოგიერთს ადგილს მაჭმადიანები სრულიად ამოხოცილნი არიან, გზაზედ, თუ სოფლებშია, და თვით სოფლებიც სრულიად აიკლესო. ყოველ დღეს ახალნი დაჭრილნი მოდიან. ამას ქვემორე ხელის მომწერნი ვამოწმებთ, რომ დაჭრილთა შორის უფრო მეტი დედაკაცები და ბაშვები არიან და ამათში მომეტებული ნაწილი სულ შუბებით არიან დაჭრილნი. შუმლა. 20 ივნისს.“ ამის ქვევით ხელი უწერიათ ოცდა ერთის გაზეთის კორრესპონდენტებსა.

— პარიჟიდამ იწერებიან 11-ს (23) ივლისს: სტამბოლიდამ გარეშე პირთაგან ცნობა მოვიდაო, რომ აარიფ-ფაშა ურჩევს ხონთქარსაო ნამიქ-ფაშა (რომელიც შუმლაშია) რუსის ხელმწიფესთან გაგზავნოსო. სხვა სახელმწიფოებს, რომელნიც კონფერენციაში ერივნენო, აცნობოთო, რომ ნამიქ-ფაშა შეიდობიანობის ჩამოსაგდებად არის გაგზავნილიო.

— ვენის კორრესპონდენტი ინგლისის გაზეთის „Times-სა“ ჰსწერს, რომ აქ ოსმალოს საელჩოში არა იციან რა მასზედ თუ რუსეთსა და ოსმალოს შორის რაიმე ლაპარაკია შერიგებაზე.

— ბერლინში დიპლომატებ შორის ხმა დადის, რომ შემოდგომის დასასრულს, ანუ ზამთრის დასაწყისსა ვენაში შეიყრება ევროპიის კონგრესი აღმოსავლეთის საქმის გასაბჭობლად და შერიგების პირობების დასადგენად. ხოლო ვენის მთავრობის წევრთა შორის ამ საგანზედ ჯერ არავინ არა იცის რაო.

## საქართველოს მატიანე

### „ივერიის“ კორრესპონდენციები.

— თელავი 13 მკათათვეს.— კრება, რომელიც მოხდა 5 მკათათვეს, ეკსარხოსისაგან, თელავის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის თხოვნით, დანიშნული იყო 25 მაისისათვის, მაგრამ რადგან აღმორჩეული დეპუტატები ყველანი არ დაესწრნენ ამ დღეს,— გადადებულ იქმნა 5 მკათათვისათვის. 5 მკათათვეს შეიკრიბა ოთხი მაზრის სამღვდელოება: თელავისა, სიღნაღისა, თიანეთისა და ზაქათალისა,— თითო საბლაღოჩინოდამ ორ-ორი დეპუტატი და თვით ბლაღოჩინები. როგორც ერთ „დროების“ №-ში იყო მოხსენებული, ს. გაჭირის ბლაღოჩინს ი. ხატიევს მოეწვია თავის საბლაღოჩინოს მღვდლები კრებაზე, რო-

მელზედაც გადაეწყვიტნათ, რომ ჩვენ თულაგის შკოლას ვერაფერს შევსწირავთო. ამ გვარათვე მოელაპარაკნათ ზოგიერთ მღვდლებს ერთმანეთში. ამას რომ დაუმატოთ ისიც, რომ დეპუტატები უკანონოთ იყვნენ ამორჩეულნი, ე. ი. დეპუტატები იყვნენ ამორჩეულნი მხოლოდ ბლაღოჩინებისგან, და არა მთელის საბლაღოჩინოს სამღვდელოებისაგან, მაშინ ყველა აშკარათ მიხვდებოდა, რომ თულაგის სასწავლებელი ვერაფერს კეთილს ვერა ნახამდა ამ „საკვირველის“ კრებისაგან. მართლაც, რომ ყრილობის გარდაწყვეტილებამ არამც-თუ მოუმატა სამღვდელოებისაგან დადებულ სასწავლებლის სასარგებლოდ ფულს, (შვიდი მანეთია თითო მრევლზე), არამედ ჩვენდა საუბედუროდ და ზოგიერთის დეპუტატების და ბლაღოჩინების სამარცხვინოდ მოაკლო კიდეც...

სამღვდელოება შეიკრიბა სასულიერო სასწავლებლის ოთახში დილის 10 საათზე. პარაკლისისა და „მრავალ-ჯერ დამთქნარების“ შემდეგ, კრება შეუდგა თავს-მჯდომარის ამორჩევას. საკვირველია, რომ თითქმის ყველა დეპუტატები სემინარიაში კურს შესრულებული იყვნენ და თავს-მჯდომარის ამორჩევის წესი-კი არ იცოდნენ. არც კანდიდატები, არც კენჭი,— მხოლოდ თითო-ბეწო ქაღალდის ნაგლეჯები დაურიგეს დეპუტატებს, დაუსახელეს ერთი გვამი და უთხრეს, რომ ვისაც ეს გვამი სურთ, ხელი მოაწერეთო. ეს რომ დაინახეს ზოგი-ერთ გარეშე პირებმა, უთხრეს, რომ მაგრე ამორჩევა არ შეიძლებაო, რომ სამი კანდიდატი უნდა ამოირჩიოთ ჯერაო და მერე ამ სამი გვამისგან—თავს-მჯდომარე. ბევრი ბაასის შემდეგ, დანიშნეს სამი კანდიდატი, რომლებიც უფრო უფროსები იყვნენ,—ჭკუით-კი არა—„ჩინებით„ და „ნამსახურობით.“ ეს ბედნიერნი იყვნენ: ბლ. დეკ ე. მრევლოვი, ბლ. დეკ. ი. ხატიევი და ბლ. მღ. ს. ფირანოვი. ამ სამ პირში მხოლოდ ერთი იყო ცოტათი მაინც კეთილი განზრახვისა, მაგრამ...

რაღა ბევრი გავაგრძელო,—თავს-მჯდომარეთ ისევ ის გვამი ამოირჩიეს, რომელიც პირველად უნდოდათ.:· ამორჩევისათანავე თავს-მჯდომარე წამოდგა ფეხზე, (მართლა, დამავიწყდა ზევით მომეხსენებინა, რომ ამორჩევამდინაც თავს-მჯდომარის ადგილი ეკავა მ. ს.) და უთხრა სამღვდელოებას, რომ უბრალო ლაპარაკი და ყვირილი არ დაეწყოთ, მერე მიუბრუნდა გარეშე პირებს, რომლებიც საყურებლად იყვნენ აქ და უთხრა: „მე ზოგიერთმა დეპუტატებმა მთხოვეს რომ გარეშე პირები ნურავინ დაესწრობიან კრებაზედაო“! რასაკვირველია „გარეშეები“ იძულებული იყვნენ თავი ჩაედუნათ და გამობრძანებულიყვნენ ზალიდამ. თავს-მჯდომარეს სიტყვები მოსვდათ აგრეთვე ზოგიერთ მღვდლებს და მთავრებს, რომლებიც არ იყვნენ დეპუტატებად დანიშნულნი.

გარეშე პირების დათხოვნა საზოგადო კრებიდგან უსაბუთო და უსამართლოა – ყველამ იცის. მაგრამ რა მიზეზით დაითხოვა თავს-მჯდომარემ დეპუტატების თხოვნით გარეშე პირები? მგონი რომ ეს მიზეზი ადვილი ასახსნელია: ეს მიზეზი ის არის, რომ კრების სისუსტეს, უსამართლო ლაპარაკს, სუსტი ჭკუის და გონების გამოაშკარავებას ორატორობაში გაიგებდნენ გარეშეები და გამოაცხადებდნენ საქვეყნოთ. აი ამისი ეშინოდა კრებას. ნუ თუ ეგონა კრებას, ნათიევისა არიყოს, რომ რასაც კაცი თავის ყურებით არ გაიგონებს და თავის თვალებით ვერ დაინახავს, იმაზე ლაპარაკს და სჯას ვერ შეიძლებს? განა სხვა წყაროები არ არის ამბის შესატყობი? ნუ თუ ეგონა მას, რომ თითონ მის წევრებში მართლა არ მოიძებნებოდა ისეთი პირი, რომელიც თავის მოძმეების სისუსტეს გამოაშკარავებდა საქვეყნოდ?.. სხვა არა იყოს რა კრების გარდაწყვეტილება ხომ უნდა წარდგენოდა მის ყოვლად უსამღვდელოესობას დასამტკიცებლად და აგრეთვე სასწავლებლის გამგეობას, განა იქიდგან ვერ გაიგებდა და შეიტყობდა ვისაც სურვილი ჰქონდა?.. აი ამისთანა ჭკუა მოკლე და წინ დაუხედავნი იყვნენ 5 მკათათვის კრების მომეტებული ნაწილი დეპუტატებისა! იქნება, გარეშე პირები რომ კრებაში დასწრებოდნენ, ზოგიერთი დეპუტატები ძირს არ დაუშვებდნენ იმისთანა შეცთომებს, რომლის გამოაშკარავებაც შეუძლებელი და სამღვდელოების შეურაცხყოფაა. შესაძლებელია, რომ დეპუტატები გარეშე პირების თავაზით და სათრით მოფიქრებით და დალაგებით ილაპარაკებდნენ და არ დაიწყებდნენ ტყუილუბრალო ყვირილს, რომელიც არ ეკადრებოდა და არ შეშვენოდა სამღვდელოებას...

კრების გახსნისათანავე თავს-მჯდომარემ მოითხოვა ზედამხედველისაგან შემოსავალ-გასავალის დავ-

თარი, რომელიც თითონ ზედა-მხედველმა უ. ნ. მ შემოიტანა კრებაში და აუხსნა მოკლეთ ყველაფერი, რაც კი შეეხებოდა იმ საგნებს, რომლებიც უნდა გაესაჯა კრებას. ზედა-მხედველს სხვათა შორის ზოგიერთი საგნის მასწავლებლისათვის მოემატებინა ჯამაგირი, რის მიზეზიც მაშინვე აუხსნა. აი მაგ. რა სთქვა ზედა-მხედველმა ქართულის ენის მასწავლებლის ჯამაგირის მომატების თაობაზე: (დანიშნული იყო ოცი თუმანი! და ზედამხედველმა მოუმატა ათი თუმანი, სულ (300) ოც-და-ათი თუმანი ქართულის ენის მასწავლებელს! ოჰ რა ბევრია!!) „მამანო! ქართული ენა, ჩვენი სამშობლო ენაა და სირცხვილია ჩვენთვის, რომ ჩვენმა შვილებმა არ იცოდნენ თავისი სამშობლო ენა. ამ ჟამად ქართული ენა ყველას სასწავლებელში დავარდნილია და ჩვენი, განსაკუთრებით ჩემი, ვალია, ვეცადნეთ, რომ კაი ფეხზე დავაყენოთ ეს ენა და ოც თუმანათ კი ცალკე მასწავლებელი არ დადგება, ამისთვის მე გთხოვთ ათი თუმანიც მოუმატოთ, რომ ცალკე მასწავლებელი ვიყოლიოთ.“ ამ სიტყვების გამგონე ზოგიერთმა დეპუტატებმა ცხვირები ჩამოუშვეს... ზოგმა კიდეც წაიდუდუნეს: „ქართული ენას რა თავში გიხლითო, რითაც ლუკმას შევჭამენ, ჩვენ შვილებს ის ასწავლეთო!.“ შემდეგ ზედა-მხედველმა უთხრა კრებას: თუ საჭირო იქნება, მე წარმოგიდგენთ დაწვრილებით ანგარიშს, თუ რაში და რაზე დაიხარჯა თქვენგან შემოწირული ფული სასწავლებლის სასარგებლოთ. ამ სიტყვების შემდეგ ადგა და გამოვიდა კრებიდგან. დარჩნენ კრებაში მხოლოდ თავს-მჯდომარე, დეპუტატები და ბლაღოჩინები. შემდეგ თავს მჯდომარემ დაიწყო თითო მუხლის კითხვა ზედამხედველისაგან წარდგენილის ქაღალდებიდგან. წაიკითხავდა რა ერთ მუხლს, თავს-მჯდომარე იტყოდა თავის აზრს და მერმე მიუბრუნდებოდა დეპუტატებს ამ სიტყვებით: „მამანო! თქვენ რას იტყვით ამაზე?“ დეპუტატებიც რომლებიც-კი ლაპარაკობდნენ (ნახევარს თითქმის ხმა არ ამოუღია), უეჭველად დაეთანხმებოდნენ თავს-მჯდომარის აზრს, გარდა ზოგიერთებისა. აქ რომ მოვიხსენოთ ყველა საგნები, რომლებზედაც-კი ილაპარაკეს კრებაში, წერილი მალიან გაჭიანურდება და ამისათვის მოვიხსენიებთ მხოლოდ ზოგიერთ საგნებს. მაგ., როდესაც მოსამზადებელის კლასების (ორი განყოფილებაა, უმცროსი და უფროსი) მასწავლებლების ჯამაგირზე იყო ლაპარაკი, მაშინ ზოგიერთმა (სხვათა შორის ამავე სასწავლებელში ნამყოფმა „პედაგოგმა“ ლ. ბერიევმა—ესლა მღვდელია, წარმოსთქვეს, რომ ორივე განყოფილების მასწავლებელს ერთი და იგივე ჯამაგირი არ უნდა მიეცესო, რადგანაც უმცროსის განყოფილების მასწავლებელს უფრო ბევრი „ჯაფა“ აქვსო, ვინემ უფროსი განყოფილების მასწავლებელსაო. ამ აზრის მთქმელმა ნეტავი იცოდნენ მაინც რას და როგორ ასწავლიან ან ერთს განყოფილებაში ან მეორეში. ეს აზრი ტყუილ უბრალოთ იყო წამოროშილი და არა როგორც შემუშავებული აზრი... ზოგი კიდევ იმას ამბობდა, რომ ერთი მასწავლებელიც საკმაოაო. მსეც შეუძლებელია, რადგანაც ერთის მხრით იმ ორ განყოფილებაში სხვა და სხვა პროგრამმებია და მეორეს მხრით, ორივე განყოფილებაში თითქმის 180 შეგირდია... ბურსაზე, რომელიც ეს ერთი წელიწადია გახსნეს, ყველამ უარი სთქვა, რომ არ შეგვიძლიან შენახვაო. ბურსაში 26 შეგირდისათვის და ოთახების დასაწმენდათ ოთხი მოსამსახურე იყო დადგენილი. ეს ერთმა დეპუტატმა გაიგო და სთქვა: „ჩემს დროს 60 შეგირდს ერთი „სტოროჟი“ გვყოფნიდაო და 26 შეგირდს ოთხი სტოროჟი რათ უნდაო“. აღმზრდელის ჯამაგირის ფულზედაც უარი სთქვეს და სხვა და სხვა....

ასე უთავ-ბოლოთ ლაპარაკი გაგრძელდა ნაშუადღევის ორ საათამდე და მაშინ კი დაიშალნენ იმ პირობით, რომ ექვს საათზე შეკრებულიყვნენ და პროტოკოლზე ხელი მოეწერათ. რვის ნახევარზე შეიკრიბნენ სამღვდელონი, მაგრამ სულ კი არა, აქ საჭიროდ ვრაცხ მოვიხსენიო, რომ ზოგიერთი დეპუტატი ისე გაჭედილიყო წითელის ნუნუათი, რომ არამც თუ სჯა და ხელის მოწერა,—კაცების გარჩევაც არ შეეძლო პირუტყვებისაგან .. დაიწყეს ხელის მოწერა. ნახევარმა მოაწერა და სხვებმა კი უარი სთქვეს. მიზეზათ ის შეიტანეს, რომ თავს-მჯდომარემ და დეპუტატებმა სრულიად არ მიიღეს მხედველობაში წინანდელთა კრებათა გადაწყვეტილებანი. „არ შეიძლება ამბობდნენ ესენი, დღეს დავამტკიცოთ და ხვალ ისევ დავარღვიოთ, ხვალინდელი დადგენილი ხვალზევით ისევ უარ-ვჰყოთო. რას იტყვის ამაზე ჩვენი მთავრო-

ბაო." ერთმა ახალგაზრდა მღვდელმა უფრო დიდი მხნეობა გამოიჩინა: „დიდი სირცხვილია ჩვენთვის, რომ ოთხის მაზრის სამღვდელოებამ ერთი სასწავლებელი ვერ შეინახოთ. რა დიდი ზარალია ჩვენთვის, რომ 10—15 მანეთი მივსცეთ წელიწადში ჩვენის შვილების აღსაზრდელად, ან რა იქნება, ათ წელიწადში ერთხელ მთელის ერთის წლის ჯამაგირი 140 მანეთი მივცეთ სასწავლებლის სასარგებლოდ." მაგრამ საუბედუროთ ამ დეპუტატის სიტყვები იყო ვითარცა „ხმა უდაბნოსა შინა". ხუთმა თუ ექვსმა დეპუტატმა შეიგნო მხოლოდ ეს უკანასკნელი მშვენიერი აზრი. ზოგი ამბობდა რომ ხვალისათვის გადავდოთო, მაგრამ თავს-მჯდომარემ გამოაცხადა, რომ თუ ხვალისათვის გადასდეთ მე თავს-მჯდომარეობიდამ ხელს ავიღებო და სიღნაღის და თიანეთის მაზრების მღვდლები კიდევ იმას ამბობდნენ, რომ თუ დღეს გავათავეთ კარგი, თუ არა და ჩვენ ხვალ აქ ვერ დავსდგებითო. ამ ნაირად ზოგმა ხელი მოაწერა განაჩენზედ და ზოგმა არა და ისე დაიშალნენ. მეორე დღეს 6 მკათათვეს შეკრებილიყვნენ კიდევ სამი ბლაღოჩინი, ორი თუ ოთხი დეპუტატი და თვით თავს-მჯდომარე და როგორც ამბობენ, ზოგიერთი მუხლები შესცვალეს წინადღის გარდაწყვეტილებისაო. რა მიუმატეს და რა დააკლეს წინადღის განჩინებას,—არავინ იცის და საიდუმლოა ყველასთვის ჯერ... ასე გათავდა ეს შესანიშნავი კრება, რომლის გარდაწყვეტილებასაც, თუ დაამტკიცა მის ყოვლადუსამღვდელოესობამ, დიდი მნიშვნელობა ექნება სასწავლებლისათვის. მე არ ვამბობ, რომ ეს კრება ან დიდ ვნებას მოუტანს, ან სარგებლობასა მეთქი, მაგრამ ცვლილებას რომ მოახდენს თელავის სასწავლებელში—ამაში ეჭვი არავის უნდა ჰქონდეს...

ქ. თელავი 1877 წ. 13 მკათათვე.

ქართველი.

—

— კახეთი 13 მკათათვეს.—პურის მოსავალი ძალიან კარგი და ბევრია, ასე რომ ზოგ სოფლებში ჯერ ნასკვარიც არ მოუმკიათ: მაგრამ სიმინდები, ფეტვები და ბოსტნეულობა ძალიან შეაწუხა გვალვამ—ეს ერთი თვეა რაც არ გაავდრებულა. ვენახები დაინაცრა გაღმაც და გამოღმაც,—რაც დასეტყვა—ის კიდევ სხვა არის. ლეკებისგან დაფეთებული კახეთის ხალხი კიდევ არ დამშვიდებულა. ამ შიშის მიზეზი ის არის, რომ ზოგიერთ სოფლებში მოსამკელი ყანები და დადგმული ძნები იწვება. დაწვას ლეკებს აბრალებენ, თუმცა საფუძველი არა აქვს ამ ჭორს. თურქული გახშირებულია საქონლისა. ეს ავათმყოფობა ეყრება საქონელს როგორც ფეხებში, აგრეთვე პირში. ვისაც ვალია ყურადღება მოაქციოს ამ მოვლინებას, თორემ საქონელი ძალიან დაზარალდა... ავათმყოფობა არაფერია, გარდა ყვავილისა და წითელისა, მაგრამ ამათაც მშვიდობიანათ ხდილობს ხალხი.

—

— კავთისხევიდამ: თიბათვის დღეებში კავთისხევის მამასახლისი თავისის გზირებით დადიოდა სოფელში და როგორც ეტყობოდა ძალიან იყო ჩაბრუჟული; მივიდა ერთ გლეხის სახლში და დაუყვირა: ნოქარავ, შენ ამ გზას ნუ აფუჭებ, თორემ მკვიცი! (იქ გზა არსად იყო წამხდარი) მე გირჩევ შენ თავი დაანებო მებაღობას, გამოსწიდე მაგ ბაღიდამ, თორემ შენ ეგ ბაღი ცხვირში ამოგცხობს. მამასახლისო, უთხრა ნოქარამ, შენ ჩემი მებაღობა რას გიშლის, მე ამითი მიდგია სული, მე რომ ამას თავი დავანებო, მერე შენ შეინახავ ჩემ ცოლ-შვილსა? ნოქარას ბაღის მომიჯნავისაგან იყო წინადვე შეგულიანებული, რადგანაც ბაღის რწყვის დროს-იმის სახლში ჩადის ხოლმე წყალი და ამიტომ ძალიანაც გადაეკვრებინებინა მამასახლისისთვის, რომ სუსხი მოეჭმიტებოდა. მამასახლისმა დინჯად უბძანა გზირებს: დაიჭირეთ ეგ უწვი, მამაძ.... და კარგი კარგი ურტყით! დაიჭირეს... შენი ნოქარა გზირებმა და ისეთ ნაირათ გათეთქვეს, რომ ხმას ველარ იღებდა; ტანისამოსი, სისხლში მოსვრილი სულ ზედ შემოაფხრიწეს. მაყურებელნი ბევრნი ვიყავით, მაგრამ ვერ მივეშველენით საწყალსა, რადგან გზირები, როგორც მგლები ისე იყვნენ გამძაგებულნი და გვეშინოდა ჩვენთვისაც არ ეთავაზებინათ ორიოდე მუშტი.

არა ერთხელ უცემიათ ამ საწყალის გლეხისათვის: მარშან წინ ამავე გლეხს ასეთივე დღე დააყენეს და იქნება უარესი ექნათ, თუ მე არ ჩავშველებიყავ. ამ გლეხს ეხლა ჩივილი უნდა, მაგრამ თავისი სიღარიბის გამო ვერ მოუხერხებია და კიდეც ეშინიან მამასახლისისაგან, რომელიც აშკარათ ამბობს, რომ მთავრობისაგან ნება მაქვს, რომ ხალხს ვცემო, როცა რაიმე საზოგადო საქმე ფუჭდებაო.

საზოგადოთ, როგორც კავთისხეველი გლეხები ამბობენ, აქაურის მამასახლისისაგან მთელი სოფელია გატანჯული, მეტად მხეცურად ექცევა ხალხსა. მაგრამ არც ერთი მისი მხეცური ქცევა მთავრობის ყურში არ ჩავარდნილა, რადგანაც გლეხისთვის, როგორც ერთმა გლეხმა ჩივილით მითხრა, ძალიან ძნელია გორში გასვლა, მერე იქ არზაო, მერე მარკაო, მერე სხვა „ხლაპოტიო," მაგაში გავა ჩვენი ცხოვრებაო და ისევ სჯობს თავი დავანებოთ, რასაც გვიზამს, გვიზამსო; ვისაც უნდა ჰკითხოთ ყველა გლეხი ამას გეტყვითო. შესანიშნავი ის არის, რომ ამ მამასახლის გლეხები მთელი ცხრა წელიწადია ტანჯვაში ჰყავს. სამჯერ მოუვიდა გამოსვლის დრო და სამჯერვე ამოირჩიეს თავისი თავის საცემ-სატყეპათ. აი ეს გარემოება როგორ აიხსნება: მამასახლისს ჰყავს იმისთანა ამქრები, რომლებიც შველიან ამ საქმეში: ეს კნიაზ თარხანოვიო, ეს მღვდელიო, ეს მჭედელიო, ეს გიორგი მებადეო, რომლებსაც გული ყელში ჰსჩრიათ და ამით თავი მოაქვთ სოფელში. ამორჩევის დრო რო დადგება, ეს ამქრები ერთათ შეიკრიბებიან, ხუთ ექვს კაცს გაამრასხებენ ხმა-მაღლა დაიყვირონ: ტატუა მამასახლისი გვინდა ისევ მამასახლისათაო! მერე ზედ ამქრებიც დაჰყვირებენ ამაზე უკეთესი არავინ არისო. საწყალ დანარჩენ გლეხებსაც ეშინიანთ ცალკე თარხნიაანთი, რომლებიც ტყეში ასწრობენ და ართმევენ ზოგს აპეურს, ზოგს ურემს და ზოგს ხარებს და ცალკე თვითონ მამასახლისისა, კაი თუ მაინც ისევ ეგ ამოირჩიონო და მაშინ რადა გვეშველებაო. ამიტომ თითონ გლეხებიც ძალა-უნებურად იძახიან: ეგ გვინდა, ეგა, ეგა! თქვენ აქაურ გლეხს რო ჰკითხოთ: კაცო, თუ არ გინდათ ეგ კაცი მამასახლისათ, რათ ჰყვირით ეგ გვინდა, ეგაო?

ეჰ, შე დალოცვილო, გეტყვით გლეხი, გვეშინიან, შიში გვაქვს, შიში.... აი შარშან წინაც რომ ხელ მეორეთ ამოვირჩიეთ, ერთი ორ კაცს წამოსცდა: ეყოფა მაგას მამასახლისობაო, ეხლა სხვას ვარგუნოთო. ეხლა ეგ მამასახლისი ისეთ ნაირათ არის ჩამოკიდებული, რო თითქმის აქედამ აჰყაროს. ეჰ, აბა რას ამბობ, შენი ჭირიმე, ჩვენ გაჩენაში ღმერთი არ ურევია არა?....

2 მკათათვეს 1877 წ.

იდლელი.

---

— კავთისხევი 10-ს მკათათვეს. —სოფელს კავთისხევს, თავად აზნაურობა და მის მახლობლივ პატარა სოფელი წინარესიც რომ ჩავთვალოთ, ხუთასი კომლი მცხოვრებელი ჰყავს. დიდად გასაოცარი და საკვირველი მოვლინებაა, რომ ამოდენა სოფელში აქამომდე არავის უზრუნვია სწავლის გავრცელებაზე, მით უფრო საკვირველია, რომ ხალხი ძალიან მოწადინებულია და არის კიდეც. მკითხველო, ბევრს საკვირველს და საოცარს ამბავს გაიგებთ აქ იმისთანას, რომლის მიზეზიც წიგნის უვიცობა არის. აქ მხოლოთ ათიოდ კაცი მოიპოება წერა-კითხვის მცოდნე. ესენი არიან მედიატორებიც, მოსამართლენიც და მოარზენიც და ხალხს იაფათაც არ უჯდება ყოველი ამათი მოღვაწეობა. ხშირათ ნახავთ, რომ ორი გლეხი-კაცი მიდის; ერთს ხელში უჭირავს ჩასუქებული დედალი და მეორეს— ვექსილის ქაღალდი. ეძებენ ან დიაკვანს, ან კუდა კნიაზს და ან მღვდელს, ერთის სიტყვით, ვისაც შინ მოასწრებენ, ვექსილს დააწერინებენ და დედალს გასამრჯელოდ მიართმევენ. აი კიდევ მიდის მეორე გლეხი დაღრეჯით ხიხოვს მედიატორებისაგან დადგენილს განჩინებას, ჰპირდება საწყალი გლეხი სხვა და სხვა საჩუქრებს, მაგრამ მას გულგრილად ეუბნებიან: ჯერ მოიტანე ერთი თუმანი განაჩენის დასაწერი და მაშინ დაგიწერთ, თორემ ვერას მიიღებო. აი ამ ხარჯსა და გაჭირვებაშია საწყალი გლეხობა წიგნის უცოდინარობისაგამო: რამდენი ჭრელი მანეთი ისარჯება წლით-წლობამდის ტყუილ-უბრალოდ, რამდენი დედალი და ვარია უნდა მისცეს ვექსილის დასაწერად; ხან ვის უნდა ეღრიჯოს და ხან ვის უბრალო ხელის მოწერისათვის და ბარათის წაკითხვისთვის. ამითი ჰსცნეს წერა-კითხვის საჭიროება კავთისხევის მცხოვრებლებმა, და ისურვეს ნებით შკოლის გახსნა. შეიყარა ხალხი სასოფლო სასამართლოში და ერთხმად ითხოვეს შკოლის დაწესება. მსაჯულებმაც მიიღეს მხურვალე მონაწილეობა, შეადგინეს თხოვნა მაზრის უფროსთან მისართმევათ, რომელშიაც გამოსთქვეს შემდეგი: „ჩვენ, სოფ. კავთისხევის საზოგადოებამ, თუმცა ამ სამი წლის წინათ ვითხოვეთ სახელოსნო შკოლის გახსნა სოფ. ახალ-ქალაქში, სადაც უნდა ჩვენ ოთხ ყმაწვილებს ყოველ წელიწადს ესწავლათ წერა-კითხვა და ხელოსნობა, რისთვისაც ჩვენ ვალდებულნი გავხდით შეგვეტანა ყოველწლივ ოც-და-ექვსი თუმანი თეთრი ფული ახალქალაქის სასარგებლოთ, მაგრამ რად-

გან ამ სამი წლის განმავალობაში შკოლა არ გაიხსნა ახალქალაქში და ჩვენშიაც საკმაოთ გაჩნდნენ ხელოსნები, რომლებიც სრულიად აკმაყოფილებენ სოფელს და რადგან ჩვენი საზოგადოება უფრო საჭიროებს სწავლას და განათლებას, ურომლისოთაც ვართ უმეცარნი; ამიტომ ვთხოვთ მისს ბრწყინვალებას მაზრის უფროს, რათა მოახდინოს განკარგულება სოფელ კავთისხევში გაიხსნას პირველი ელემენტალური შკოლა. ფული, რაიცა შეგვიტანია აქნობამდე ახალქალაქის შკოლის სასარგებლოთ დაგვიბრუნდეს შკოლის შენობის ასაშენებლათ, ხოლო შემდეგისთვის შკოლის გასავალ ხარჯათ დავდებთ ყოველ წლივ აწინდელ დადებულ ოც-და-ექვს თუმანს დამატებით თოთხმეტის თუმნით“.

აქვე დაინიშნეს მზრუნველები, რომლებსაც მიანდეს ყოველიკე საქმე შკოლის შესახებ. რასაკვირველია დიდი იმედი უნდა გვქონდეს უფ. მაზრის უფროსისაგან, რომ ამ თხოვნას უნაყოფოთ არ ჩაატარებს, რადგან ჩვენ კარგათ ვიცით, რომ იგი ცდილობს გორის მაზრის წარმატებისა და განათლებისათვის, იმედი გვაქვს, რომ კავთისხეველებს ამ შემთხვევაში თანაგრძნობით მოექცევა და შკოლის მზრუნველთ ყოველგვარ დარიგებას და შემწეობას მისცემს.

ა. კავთელი.

---

**საფრანგეთი.** ჯერ არავითარი გარდაწყვეტილი ამბავი არა ისმისრა ახალის არჩევანის შესახებ, თუმცა ზოგი გაზეთები ამბობენ, რომ ეს არჩევანი ოკტომბერს მოხდებაო, და მარშალი მაკ-მაგონიც ამ აზრისა არისო. რესპუბლიკელთა იურისტების კომიტეტმა გამოაცხადა, რომ სამ თვეზე გვიან არჩევანი არ უნდა მოხდესო, თუ მთავრობის კანონის ღალატი არ უნდათო. ამბობენ, რომ ამ კომიტეტის განკარგულებაში ტიერსაც ჰქონდა მონაწილეობაო. მაკ-მაგონს ძალიან ჰსწყენია თურმე და ტიერის ჯაბრით არჩევანის ვადათ 14 ოკტომბერი დაუნიშნავს. მთავრობის განკარგულება ჯერ ოფიციალურად არ არის გამოცხადებული. მთავრობის ყოყმანობის მიზეზი არჩევანის შესახებ, როგორც მოგეხსენებათ მდებარეობს იმ უთანხმოებაში, რომელიც სხვა და სხვა მონარხიელთა დასთა შორის სუფევს. მთავრობას რასაკვირველია ისე უნდა წაეყვანა საქმე, რომ მომავალს არჩევანის გამარჯვება მოეტანა მთავრობისათვის და არა დამარცხება, ე. ი. მომავალ პალატში უმრავლესობა შეეძინა. ამისათვის მთავრობას მეცადინეობა ორგვარი უნდა გაეწია: ერთის მხრით რესპუბლიკელთათვის გზა უნდა გადაეღობა და ყოველი ღონისძიება წაერთვა მათთის საქმის გავრცელებისათვის; მეორეს მხრით თავისი ოფიციალური კანდიდატები უნდა წამოეყენებინა და მტკიცედ და მარტივად ეჩვენებინა ხალხისათვის თუ რას უნდა მოუმართოს მან ხელი და რას უნდა ჰსცეს თაყვანი.

რაც შეეხება პირველსა გვარს მეცადინეობას, კაცი ვერ დაემდურება მთავრობას: პირიდამ სიტყვის გამოგლეჯა, რესპუბლიკელთა გაზეთების გასყიდვის ამოკვეთა, სხვა და სხვა რესტორანების დაკეტვა და სხვა ყველა ამ გვარი შრომა ბევრი გასწია მთავრობამ. მაგრამ ესევე ვერ ითქმის მეორე გვარის მეცადინეობისათვის: მთავრობამ ცხადათ დაინახა, რომ ვიდრე რესპუბლიკის მტერთა შორის თანხმობა არ ჩამოვარდება, ოფიციალურის კანდიდატების წამოყენება შეუძლებელია. ვიდრე მონარხიელთ შორის აწინდელი განხეთქილება არ შესწყდება, მთავრობა მომავალ პალატში უმრავლესობას ვერ ჰპოვებს და ამ უთანხმოებით ისევ რესპუბლიკელნი ისარგებლებენ. მაშინ რაღა უნდა, ჰქნას მაკ-მაგონმა! ამიტომ აწინდელი სამინისტრო ვერა ჰბედავს საჩქაროდ არჩევანის გამართვას და იცდის აგები როგორმე რესპუბლიკის მაგიერად ხალხს სხვა რამ მოუსურვოსო. მაგრამ ეს იმედი, როგორც ეტყობა, ფუჭად ჩაივლის. რაც უფრო მეტი ხანი გადის, იმდენად ზემოხსენებული უთანხმოება და შფოთი არამც თუ არა ქრება, არამედ მატულობს კიდეც და უფრო აშკარად თავს იჩენს. ლეგიტიმისტები ცხადათ ჰსჩივიან, რომ უმთავრესი გავლენა სამინისტროში ბონაპარტიელთ უპყრიათ, რომელნიც თავისთა სასარგებლოდ იქცევიან მომავალს. ლეგიტიმისტები იმღვრევიან და ამბობენ გაზეთის Union-ის პირით: რას ნიშნავს ეს კომედია? თუ სამინისტროს, რომელშიაც ბონაპარტიელთ თავისი წარმომადგენელი ჰყავთ, თავისის პატივის დაცვა ჰსურს, ჩქარა და მტკიცე პასუხი უნდა მიუგოს ამ კითხვაზედა. ხნ გრაფ შამბორსა ვკითხოთ, რომელსაც პაპისათვის მიუწერია თურმე, რომ ესლა მე სხვა კონსერვატიულ დასთან ერთად ვერ მოვიქმედებო, რადგანაც ამ გვარი ერთობა მხოლოდ ბონაპარტიელებს მოუტანს სარგებლობასაო. გრაფი შამბორი სთხოვს თურმე პაპს — საფრანგეთის კათოლიკები დაარიგეო, რომ მხოლოდ ლეგიტი-

მისტები ამოირჩიონო და მარტო მათთვის იშრომონო. პაპი რასაკვირველია ყურსაც არ იბერტყს, რადგანაც ბონაპარტიელთაგან უფრო მეტ ხეირს მოელის თავისი საქმისათვის, ვიდრე ბურბონების მემკვიდრეესაგან.

ერთის სიტყვით მთავრობა თვითონვე იხდენს თავის საქმეს. რამოდენადაც უფრო დიდსანსა რჩება აწინდელი უთავბოლო მდგომარეობა, იმდენად უფრო მთავრობას მტერი ემატება და სახელი უტყდება. აბა როგორ არ უნდა გაუტყდეს სახელი მაკ-მაგონს, როდესაც მისი მომხრე გაზეთები ამგვარად არიგებენ გლეხობას: „მარშალის კანდიდატები ამოირჩიეთ თორემ, თუ ისევ 363 (იმ დეპუტატებთა რიცხვი, რომელიც, თუ გახსოვთ, მანიფესტს მოაწერეს ხელი ძველის სამინისტროის დათხოვნის დროს) ამოირჩევთ, მარშალი კიდევ დაითხოვს პალატს, თუ მას შემდეგაც ამოირჩევთ, კიდევ დაითხოვს და ასე გასწევს მთლად 1880 წლამდე (ე: ი. ვიდრე მაკ-მაგონს პრეზიდენტობის ვადა არ გაუთავდება), იმიტომ, რომ მას სამსახურიდგან გამოსვლა არა სურს და არც გამოვა. რადგანაც მაკ-მაგონი არაფერს არ დაგითმობთ თქვენ, თუ მშვიდობიანობა გსურთ, ყველაფერი უნდა თქვენ დაუთმოთ“.

ვის იგდებენ ამით 9 მასხარათ — ამბობს Indèpendance-Belge-ის კორრესპონდენტი — ხალხს თუ თვითონ მაკ-მაგონს? თქმა არ უნდა, რომ მომავალი არჩევანი მაკ-მაგონს ვერაფერს ხეირს დააყრის.

**სერბია.** წარსულ ნომერში მოხსენებული იყო, რომ იმ დეპუტატების მაგივრად რომელნიც დეპუტატობიდამ გადადგნენ, ახალნი არიან ამორჩეულნი, რომელთა შორის უმეტესი ნაწილი მთავრობის მომხრენი არიან. ეს საკვირველი არ არის, რადგანაც გადამდგარნი დეპუტატნი სასჯელში მიცემულნი არიან და ამიტომ უფლება არა აქვთ ხელმეორედ ამორჩეულ იყვნენ. უნდა მოგახსენოთ, რომ სერბიის აწინდელი მთავრობა ისე იქცევა თითქო სერბია განუსაზღვრელი მონარხია იყოს და არა საკონსტიტუციო სახელმწიფო. მთავრობა სულ სლავიანობის განთავისუფლებას იძახის; თვითონ შინაობაში კი ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ თავისუფლება მოსპოს და ხალხის სურვილს გზა გადუღობოს. ამას ცხადათ გვიმტკიცებს ის განხეთქილება, რომელნიც ამას წინად სკუპშტინაში მოხდა და რომლის გამოისად ოცდა ათმა დეპუტატმა დეპუტატობა აიყარა.

როგორც გაზეთის Недѣля-ს კორრესპონდენტი იწერება ბელგრადიდამ ეს საქმე ასე მომხდარა. მილანის სამეფო სიტყვის პასუხის შედგენა ცალკე კომიტეტს მიანდეს. ამ საგნის შესახებ კომიტეტში ორგვარი აზრი იყო ათქმული: უმრავლესობას (აგრეთვე მთავრობასაც) უნდოდა, რომ სკუპშტინის პასუხში მხოლოდ ყველა ის ყოფილიყო აღიარებული, რაც თვითონ მილანის სიტყვაში იყო მოხსენებული და სხვა არაფერი; უმცირესობას კი უნდოდა, რომ ამის გარდა პასუხში ხალხის სურვილი და მოთხოვნილებაც ხსენებულიყო, უნდოდა ეთხოვნა მილანისათვის ღონისძიება მიეღო ხალხის ეკონომიურის და ფინანსიურის მდგომარეობის წარმატებისათვის.

ეს ორივე წინადადება სკუპშტინაში შეიტანეს. მინისტრმა რისტიჩმა მოითხოვა, რომ უმცირესობის პასუხში უსათუოდ მთავრობისადმი ნდობა პირდაპირ იყოს გამოცხადებული. ამაზედ შემდეგი პასუხი მიუგეს რისტიჩს: „ხალხის წარმომადგენელნი ვერ ენდობიან მთავრობას, მთავრობა სულ იმას იძახდა, რუსის მთავრობამ ომიანობის დაწყობა გვიბძანაო, ის კი არა თუ ამ ორივე მთავრობის ურთიერთ შორის მიწერ-მოწერა გვიმტკიცებს, რომ ხელმწიფე-იმპერატორი სწერდა მთავარს მილანს, ცოტა კიდევ მოიცადეო, ომს ჯერ ნუ გამოაცხადებო მთავრობამ არ დაუჯერა იმპერატორს და ომი დაიწყო. მთავრობა გვარწმუნებდა, რომ სერბიისა, რუმინიისა და საბერძნეთის შორის ოსმალეთის წინაამდეგ ზავია შეკრულიო, ბალკანიის სლავიანთა შორის აჯანყება ძალიან კარგა არის მოწყობილიო, სამხედრო მომზადებაც საკმაოაო, ის კი არა თუ ეხლა თვითონვე გატყდა, რომ ომი რო დაიწყო ხაზინაში 35,000 დუკატზედ მეტი არა ყოფილა. განა ყველა ამის შემდეგ თქვენ, უფალნო მინისტრებო, შეგიძლიანთ კიდევ ნდობა მოსთხოვოთ ხალხის წარმომადგენელთ? არა ჩვენ აღარ შეგვიძლიან ჩვენის ქვეყნის მმართველობა ამ გვარ პირთ მივანდოთ.“

ამის პასუხად რისტიჩს ხმაც არ ამოუღია. ორთავე წინადადებას (სატახტო სიტყვის პასუხის შესახებ) კენჭი უყარეს, ე. ი. ვინც კომიტეტის უმრავლესობის აზრისა იყო უნდა ამდგარიყო. ზოგიერთნი ადგნენ. თავმჯდომარეს არც კი დაუთვლია რამდენი ადგა და რამდენი არა, და წამოიძახა, რომ დეპუტატთა უმრავლესობა კომიტეტის უმრავლესობისკენ არისო. როდესაც მოწი-

ნააღმდეგე დეპუტატებმა დაინახეს რა უწესოებას ხმარობს მთავრობა, მაშინვე გამოაცხადებს, რომ არც პატივი და არც სამშობლოს მოყვარეობა მათ ნებას არ აძლევს სკუპშტინაში დარჩენისას, სადაც მთავრობის სურვილი სკუპშტინის განკარგულებად ირიცხებაო, და მეორე დღეს სამსახურიდამ გამოვიდნენ.

მაშინვე მთავრობამ და მისმა გაზეთებმა დაიწყეს ყვირილი, რომ ეს დეპუტატები სამშობლოს მოღალატენი არიანო, მილანის განდევნა უნდათო და სხვ. ამის დასამტკიცებლად, რომ ეს ყველა ცილის წამებაა მთავრობის მიერ, კორრესპონდენტს მოჰყავს ის პასუხი (მილანის სამეფო სიტყვაზედ), რომელიც კომიტეტის უმცირესობამ სკუპშტინაში შეიტანა და რომლის დაბეჭდვა თვით სერბიაში აღკრძალულია. ალაგი ნებას არ გვაძლევს ეს პასუხი აქ მოვიყვანოთ, მაგრამ უნდა მოგახსენოთ კი რომ მართლა და ზომიერად არის დაწერილი და მილანის პატივის ცემით აღსავსე.

— ბელგრადიდამ გაზეთს Times ს სწერენ, რომ ღენერალს ჩერნიაევს მოციქული გაუგზავნია სერბიაში შესატყობათაო თუ რა თანამდებობას მომცემთ თუ გინიცობაა ომი დაიწყოთო. ჯერ პასუხი არ მისვლიაო, მაგრამ ამბობენო, რომ ეს პასუხი ჩერნიაევის სასარგებლო არ იქნებაო.

---

## ბრძოლა რომის დასაპყრობლად

(შემდეგი) *).

რამთენსამე წუთს შემდეგ გალატეა უკუვმოიქცა და თან-მოჰყვა ერთი დაბალი, ტანში მოხრილი კაცი, რომელიც თუმცა ორმოცის წლისა იყო, მაგრამ უფრო ხნიერად გამოიყურებოდა. გამწვეტებული პირის სახე ჰქონდა, მაგრამ ჰკვიანური კი, უწვერო და უულვაშო იყო, თვალთა მეტყველება მკაცრი ჰქონდა და ტუჩები შეკუმშული.

მის დაბლად თავის დაკვრაზედ თეოდორამ ცოტად თავი მოიხარა. გალატეამ წარბების ღება დაუწყო თავის ქალბატონს.

— ღედუფალო! დაიწყო ახლად მოსულმა: მე მაოცებს შენი გაბედულობა. მე რომ აქ მნახოს ვინმემ! ხომ მთელის ათის წლის ღვაწლს ეს ერთი წუთი ჩანსთქავდა.

— შენ აქ არავინ დაგინახავს, პეტროს, მიუგო დინჯად თეოდორამ: ეს ის განსაკუთრებითი დროა, რომელსაც მე მარჩენს ხოლმე თავისუფლად მეტიჩარა ტრფიალება იუსტინიანესი. იგი ეხლა ლოცულობს და ამით უნდა მესარგებლნა მე. ღმერთმა ნუ მოუშალოს მას ღვთის სიყვარული! გალატეა, ღვინო მოიტა. ნუ იშიშვი მასზედ, რომ მე მარტო დავშთები ამ საშიშარ ქალის მაცთურთან.

ბებერმა დედაკაცმა ერთი საძაგლად გაიცინა, გავიდა და ისევ მალე შემობრუნდა, ერთ ხელში ეჭირა თასი გამთბარის ტკბილის ღვინითა და მეორეში ჭიქა წყლითა და თაფლითა.

— მე დღეს არ შემეძლო მომეხდინა, რომ ეკკლესიაში გვენახა ერთმანეთი, უთხრა თეოდორამ პეტროსსას; თუმცა იქ საალსარებო ნიშის სიბნელეში ეგ კარგად მოხერხდებოდა, იმიტომ-რომ შენ საოცრად გევხარ მღვდელს. ვიდრე წირვა დაიწყობა შენ იმპერატორი დაგიძახებს და ამიტომაც შენ წინადვე უნდა შეგეტყო ის, რაცა მსურს მე შენგან.

— რა საქმეა, მიბძანეთ.

— პეტროს, ჰსთქვა თეოდორამ უფრო მოიმარჯვა ჯდომა და წყნარად დაუწყო სმა ტკბილს სასმელს, რომელიც გალატეამ შეუმზადა:— დღე მოვიდა, რომელმაც ჩვენ გონიერება ჯილდო უნდა მიანიჭოს და შენ დიდ-კაცად გაგხადოს. მაგრამ იმისათვის, რომ შენ უკეთ შეიგნო ის, რასაც შენგან მოველი, მე მოგაგონებს შენ წასრულს დროს მასზედ, თუ როგორ წარმოსდგა ჩვენი მეგობრობა.

— ეგ რა საჭიროა? უპასუხა პეტროსამ.

მას ეს თეოდორას სიტყვა გულს მოხვდა და სირცხვილით აივსო.

— საჭიროა, საჭირო! ყური მომიგდე. შენ ბიძა შვილი ხარ ნარზესისა და მის მომხრეთაც იყავ, მაშასადამე ჩემი სისხლის-მსმელი მტერი უნდა ჰყოფილიყავ. მთელი წელიწადი შენ ღვაწლსა ჰსწევდი ნარზესის სამსახურში ჩემ წინააღმდეგ, თუმცა კი ჩემთვის არა გივნიარა, მაგრამ არც შენთვის შეგიძენია რამ. შენი კეთილის მყოფელი მეგობარი ნარზესი თავის სახელს იმაში ხედავს, რომ

---

*) „ივერია" № 19 და 21.

თვის ნათესავთათვის კეთილი არა ჰქმნას რა, და მით არავინ წააყვედროს, რომ მიდგომით მოქმედებს. ამის გამო შენ უბრალო მწერლად ილპობდი თავს. ხოლო მაგისთანა ჭკვიანმა თავმა, როგორც შენა გაქვს, გზა გაიხსნა. შენს ფლიდობას მიჰყავ ხელი, შენ აგროვებდი ხარჯსა ერთი ორად მასზედ მეტს, რაც იმპერატორს ეკუთვნოდა და იმ მეტს იყოფდით შენა და სხვანი ხარჯის მკრეფელნი ერთად. ჯერ ბედი ყველაფერში შეგწევდათ, მხოლოდ ერთხელ კი....

— დედუფალო, უმორჩილესად გთხოვ....

— ეხლავ ბოლოც იქნება, მეგობარო: მხოლოდ ერთხელ კი ბედმა გიღალატა და შენ შეგხვდა იმისთანა კაცი, რომელმაც ჩემი მოწყალება ირჩია შენგან აღთქმულს წილზედ მეტად. იგი მოგვმხრო შენ, იმის იმედით გააკეთე ყალბი სიგლები და იმან კი ის სიგლები მე მომიტანა.

— ის საძაგელი, ის!....წაიბუდღუნა პეტროსამ.

— დიაღაც ცუდი საქმე ჩაიდინა, ჰსთქვა თეოდორამ და ქიქა იქით გადადგა.

ერთს წუთს გაჩუმდა თეოდორა და მერე განაგრძო.

— მე ბევრი არა დამჭირდებოდა რა, რომ თავი მომეშორებინა ჩემის მტრისათვის, საძაგელის ხოჯის ერთგულის კაცისათვის, და სწორედაც გითხრა, გულიც მაგისათვის ძალიან მიმიწევდა, მაგრამ ერთის წუთის შურისძიებას მე ვამჯობინე ხანგრძლივი გამორჩომა. მე მოგიწვიეე შენ და გითხარი ორში ერთი აირჩიე: ან სიკვდილი, ან ჩემი სამსახური, მეთქი. შენ იმოდენად კეთილი იყავ, რომ უკანასკნელი აარჩიე და მას აქედ სხვის თვალში ისევ უწინდელებ მტრები ვართ, მაგრამ ერთად კი ვმოქმედობთ: შენ მაცნობებდი ყოველს დაწყობილებას ნარზესისას და მეც გიხდი ვალს: ეხლა შენ მდიდარი ხარ.

— მართალია, მაგრამ რის მაქნისია ცარიელი სიმდიდრე? მე არც ხარისხი მაქვს, არც პატივი რამ. ჩემი ამხანაგები კი სულ დიდებულნი არიან, პრეფექტები, დიდ-კაცები, ცეტეგი რომში, პროკოპი ბიზანტიაში....

— მოითმინე. დღეის იქით შენ სწრაფად ახვალ ხარისხების კიბეზედ. ყური მიგდე: ხვალ შენ დესპანად განიგზავნები რავენნაში.

— იმპერატორის დესპანად! სიხარულით წამოიძახა პეტროსამ.

— ჩემის წყალობითა. ეგ კიდევ არაფერი. შენ იუსტინიანე გაძლევს იმ მინდობილებას, რომ გოთნი შეჰმუსრო და გზა გაუხსნა ბელიზარის.

— ეგ უნდა მე ავასრულო, თუ.....?

— შენ უნდა აასრულო. ხოლო იგი მოგანდობს შენ კიდევ ერთს საქმეს, რომელიც მისთვის განსაკუთრებით ძვირფასია: იგი გიბძანებს შენ გადაარჩინო თეოდორიხის ასული მის მტრებს, თუნდ რაც უნდა დაგემართოს და მოიყვანო ბიზანტიაში. აი ჩემი წიგნიცა; მე მას ხვეწნითა ვჰსთხოვ ჩემს გულში მოიპოვოს თვისი საფარი.

— ძალიან კარგი, ჰსთქვა პეტროსამ და მიიბარა წიგნი: მაშ მე იმას აქ მოვიყვან.

როგორც გველისაგან ნაკბენი, ისე წამოხტა თეოდორა; თვით გალატეაც კი შიშით უკან გაფთხა.

— არა, პეტროს, არა. მაგისათვის გგზავნი შენ იქ, რომ არ უნდა მოიყვანო. იგი აქ არ უნდა მოვიდეს, იგი ცოცხალი არ უნდა დარჩეს!

წიგნი პეტროსას ხელიდამ გავარდა.

— ოჰ, დედუფალო, წაიჩურჩულა პეტროსამ:— ეგ ხომ კაცის კვლაა!...

— ხმა გაიკმინდე, რიტორო, ამოიღრანტალა თეოდორამ ყელში გულმობჯენილმა და ბოროტებით გაუელვეს თვალებმა. იგი უნდა მოკვდეს!

— მოკვდესო! ჰოი დედოფალო, რისთვის?

— რისთვის? შენთვის მაგის ცოდნა საჭირო არ არის. მაგრამ მოიცა, მე გეტყვი რისთვისაც, იქნება მაგით უფრო წაქეზდე. მაშ იცოდე....ჩაჰკიდა ხელი მაგრად ხელში და ყურში უთხრა:

— იუსტინიანეს, იმ ორგულს იმისი სიყვარული გულს ჩაუვარდა.

— თეოდორავ, რას ამბობ! დაიყვირა შეშინებულმა პეტროსამ და იქით მიდგა.

თეოდორა მივიდა და ტახტზედ დაეცა.

— იუსტინიანეს ის თვალითაც არ უნახავს, ჰსთქვა პეტროსამ.

— მან ნახა მისის სახის სურათი, სიზმარშიაც მოეჩვენა, იგი ეტრფიალება მის სურათსა.

— შენ თავის დღეში მოპირდაპირე არ გყოლია.

— მეც იმას ვზრუნავ, რომ საკუთლოდაც არა ვინა მყვანდეს.

— შენ მაგისთანა მშვენიერი რამ ხარ.

— ამალასვინტა ჩემზედ ახალ-გაზდაა.

— შენ ეგეთი ჭკვიანი ხარ, შენ ხარ იუსტინიანეს რჩევის მიმცემი, შენ გაგანდობს ხოლმე ყოველს საიდუმლო აზრსა.

— სწორედ ეგ უმძიმს კიდეც იუსტინიანეს. და ამასთან აი რას გეტყვი, უთხრა თეოდორამ და კვლავ ხელი წაავლო: ის კოროლის ასულია, დაბადებითვე დედოფალია. მე კი—გლეხის ქალი ვარ, ლომის გუშაგის ასული. თუმცა სასაცილოა, მაგრამ იუსტინიანემ, რაკი მეწამული მანტია წამოისხა, დაივიწყა, რომ თვითონაც მეძცხვარის შვილია. იუსტინიანემ მეფეთაგან მათი უგუნურება მიითვისა, იგი სულ დაბადებითვე დაყოლილს დიდებულებაზედ ბოდავს, იმას როტავს რომ მეფის სისხლს სულ სხვა ღვთაებრივი ძალა აქვსო. ამის წინააღმდეგ მე საბუთი არა მაქვს რა: რაც ქვეყანაზედ ქალია არც ერთის ფიქრი არა მაქვს, მხოლოდ ეს კოროლის ასული კი....

თეოდორა პირ გამეხებული წამოვარდა და მუქარებით დაიწყო რა ხელის ქნევა, ჰსთქვა:

— გამიფრთხილდი, იუსტინიანევ! ამ ჴელითა, ამ თვალებითა თეოდორას დაუმონავებია ლომნი და ვეფხვნი; ახლა ვნახოთ თეოდორას ძლიერება შეიკავებს თუ არა მელიას, რომელიც მეწამულით არის მორთული.

ჰსთქვა ესა და თავის ადგილას დაჯდა.

— მაშ ეგრე, ამალასვინტა უნდა მოკვდეს, ჰთქვა მან, უეცრად დამშვიდებულმა.

— ეგრე იყოს, უპასუხა პეტროსამ;—მაგრამ ჩემის ხელით კი არა; შენ ბევრი მოსამსახურენი გყავს კაცის კვლაში საკმაოდ გაგეშილნი. ისინი გაგზავნე, მე სიტყვა პასუხის კაცი ვარ.

— შენ სიკვდილის კერძი კაცი ხარ, თუ მაგას არ აღასრულებ. სახელდობრ, შენ, ჩემმა მტერმა, უნდა ეგა ჰქმნა. ჩემმა მეგობარმა რომ ეგ მოახდინოს, ეჭვს მოიტანენ.

— თეოდორავ, დაიწყო პეტროსამ: მოვკლა და ვინ? ასული დიდის თეოდორისისა, მეფის სისხლი და ხორცი! ..

— იშ, იშ, გაიცინა თეოდორამ: მეფის სისხლი ამ უბედურებსაც თურმე თვალს არ უბამს!... ადამიანები სულ ყველანი სულელნი უფრო ყოფილან, ვიდრე ფლიდნი. გამიგონე, პეტროს, იმავ დღეს როცა რავენნიდამ მოვა ამბავი ამალასვინტის სიკვდილისა, შენ სენატორი და დიდებული შეიქნები

პეტროსას თვალები სიხარულით აენთნენ. მაგრამ სიმხთალემ თუ სინიდისის ქენჯნამ აჯობა მის პატივ მოყვარეობასა.

— ვერა ვიქმ მაგას, ჰსთქვა მან გადაწყვეტილად: ის მირჩევნია თავი დავანებო ხელმწიფის კარის კაცობას და ყველაფერზედ ხელი ავიღო.

— მაშ შენს სიცოცხლეზედაც ხელს აიღებ, ჰსთქვა გაბოროტებით თეოდორამ: შენ იქნება გგონია თავისუფალი და ხელ შეუხებელი ხარ, იმიტომ-რომ მე შენს თვალწინ დავწვი შენგან გაკეთებული ყალბი ქაღალდები? ჰოი, სულელო! ის ხომ მართლა შენი ქაღალდები არ იყო. აი დაინახე, აქ არის შენი სიცოცხლის ძაფი.

ახადა თედორამ ყუთი, საცა ქაღალდები ეწყო და ამოიღო ტყავზედ ნაწერი წერილი.

პეტროსა მუხლებზედ დაეცა.

— მიბძანე, რაც გინდა, წაიბუტბუტა პეტროსამ: მე შენი მორჩილი ვარ.

ამ დროს კარი დაურაკუნეს.

— გა!...შეჰკივლა თეოდორამ: აიღე ჩემი წიგნი გოთთა დედუფალთან მიწერილი და კარგად დაიხსომე: დიდ-კაცობა,—თუ იგი მკვდარი იქნება, წვალება და სიკვდილი, თუ ცოცხალი დარჩება. გასწი.

გალატეამ გაიყვანა პეტროსა ისევ იმ იდუმალის გზით, იუსტინიანეს ლუსკუმა თავის ადგილას დააყენა და გაემართა რომ დიდი შემოსავალი კარი გააღოს.

(შემდეგი იქნება)

# ბ ა ლ ა ნ ს ი

## ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისა.

### 1877 წლის 1-ს ივლისისა.

აქტივი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| I კასსა: | | | | |
| ა) ნაღდი ფული | — — | — | 625 | 67 |
| II მიმოსავალს ანგარიშზედ მიბარებული: | | | | |
| ა) სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში | 42.328 | — | | |
| ბ) ტფილისის კომმერციის ბანკში | 457. | 53 | | |
| გ) ტფილისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში | 9,959 | 83 | | |
| დ) პეტერბურგის ბანკირთან ვინეკენ და კომპანია | 25,614 | 54 | 78,359 | 90 |
| III კორრესპონდენტნი: | | | | |
| ა) კორრესპონდენტნი | — — | — | — — | — |
| ბ) პეტერბურგის ბანკირი ვინეკენ და კომპანია | — — | — | — — | — |
| IV სასარგებლოდ მიბარებული ფული: | | | | |
| ა) ტფილისის კომმერციის ბანკში | — — | — | — — | -- |
| ბ) სამწევროდ შეტანილი ტფ. საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში | — — | — | 30 | — |
| V ღირებულნი ქაღალდები, ბანკის კუთვნილნი და მიბარებულნი: | | | | |
| 1) სახელმწიფო და მთავრობისაგან გარანტია მინიჭებულნი: | | | | |
| ა) სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში (68,550) | 68,179 | 59 | | |
| ბ) ბანკის კასსაში (2000) | 3,919 | 4 | | |
| 2) მთავრობისაგან გარანტია არ მინიჭებული: | | | | |
| ა) ბანკის კასსაში (300) | 252 | 40 | 72,351 | 03 |
| VI გრძელ-ვადითი სესხი გაცემული: | | | | |
| ა) სოფლის მამულზედ 54½ წლით | 453,400 | | | |
| ბ) „ „ 43½ | — — | — | | |
| გ) ქალაქის მამულზედ 27½ | 520,800 | — | | |
| დ) „ „ 18 წ. 7 თვით | 40,500 | | 1,014,700 | |
| VII სესხი გასაცემად დანიშნული | | — | 10,600 | |
| VIII სესხის მოსაშორებლად წარმოდგენილნი: გირავნობის ფურცელნი | 76,400 | — | | |
| ნაღდი ფული | 79 | 64 | 76,479 | 64 |
| IX მოკლე-ვადით სესხი | — — | — | 95,365 | |
| X გირავნობის ფურცელნი გასასყიდლად მობარებულნი (152,500) | — — | — | 97,655 | 54 |
| XI სესხის ამღებნი: | | | | |
| ა) შემოსატანი ფული პირველს ვადას გადაცილებული და მეორეში გადამდგარი | — — | — | 32,653 | 02 |
| ბ) „ „ ორივე ვადას გადაცილებულნი | — — | — | — — | — |
| XII უკუ-მოსაცემი დანახარჯი | — — | — | 2,007 | 36 |
| XIII გასავალი ბანკისა: | | | | |
| ა) ბანკის მმართველობისა და ჯამაგირთათვის | 10,060 | 71 | | |
| ბ) ბანკის მოწყობისა და დადგენისათვის | 42,44 | 18 | 14,304 | 89 |
| ბ ა ლ ა ნ ს ი | | | 1,495,132 | 05 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| I ძირის სათავნო ფული { გრძელ ვადითის სესხისათვის | 163,897 | 96 | | |
| მოკლე-ვადითის სესხისათვის | 102,840 | 53½ | 266,738 | 49½ |
| II ზარალის ასავსებლად დანიშნული ფული | — — | — | 4,194 | 53 |
| III საერთო სასარგებლოდ მოსახმარი ფული | — — | — | 15,540 | 80 |
| IV საეკსტრეორდინარო ფული | — — | — | 1,948 | 98 |
| V გირავნობის ფურცელნი გაცემულნი: | — — | | | |
| ა) 54½ წლიანი | 453,400 | | | |
| ბ) 43½ | — — | — | | |
| გ) 27½ " " | 520,800 | | | |
| დ) 18 წ. 7 თვიანი | 40,500 | | | |
| გირავნობის ფურცელნი დანიშნულნი გასაცემად და ჯერ არ გაცემულნი | — — | — | 1,014,700 | |
| გირავნობის ფურცელნი გასაუქმებლად დანიშნულნი | — — | — | 10,600 | |
| გირავნობის ფურცელნი ტირაჟში გამოსულნი და ჯერ არ წარმოდგენილნი ფულის მისაღებად | — — | — | 6,500 | |
| კუპონები გირავნობის ფურცლისა ჯერ არ წარმოდგენილნი ფულის მისაღებად | — — | — | 29,094 | |
| VI თავნის მოსამორებელი ფონდი: | | | | |
| ა) 54½ წლისა | 550 | 84 | | |
| ბ) 43½ " " | — — | — | | |
| გ) 27½ " " | 4,554 | 73 | | |
| დ) 18 7/12 " " | 746 | 53 | 5,852 | 10 |
| VII სარგებლის ფონდი | — — | — | 30,675 | — |
| VIII ვადაზედ უწინარეს გადახდილი სესხი: | | | | |
| ა) გირავნობის ფურცლითა | 76,400 | | | |
| ბ) ნაღდის ფულითა | 79 | 64 | 76,479 | 64 |
| IX გარდასაცემი ფული | — — | — | 9,641 | 42 |
| X სხვა და სხვა კრედიტორი | — — | — | — — | — |
| XI სესხის ამღებნი | — — | — | 1,107 | 38 |
| XII კორრესპონდენტები | — — | — | — — | — |
| XIII დაფასების სახარჯო ფული | 10,788 | 86 | | |
| XIV სარგებელი მოკლე-ვადითის სესხისა | 3,277 | 84 | | |
| XV ჯარიმის ფული | 400 | 76 | | |
| VXI სხვა და სხვა სარგებელი | 2,020 | 34 | 16,487 | 80 |
| XVII 1876 წლის მოგებიდამ გადადებული ფული | — — | — | 5,571 | 90½ |
| ბალანსი | | | 1,495,132 | 05 |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 Іюля 1877 г. Типографія Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე